

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისაღები გამოცდების წესები

და მოთხოვნები

2014– 2015 სასწავლო წელი

ძვირფასო აბიტურიენტებო!

თქვენ მოდიხართ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ძველ უმაღლეს სასწავლებელში, რომლის კურსდამთავრებულებმა განსაზღვრეს XX საუკუნის ქართული სათეატრო, კინოსა და ტრადიციული ხელოვნების განვითარების ძირითადი ტენდენციები. უნივერსიტეტში მოღვაწეობენ გამოჩენილი ქართველი რეჟისორები, მსახიობები და მეცნიერები. უნივერსიტეტში 1200-ზე მეტი სტუდენტია სხვადასხვა სპეციალობებზე. ბაკალავრიატი (4 წელი), მაგისტრატურა (2 წელი), დოქტორანტურა (3 წელი).

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს უნივერსიტეტში !  
გისურვებთ წარმატებას მისაღებ გამოცდებზე.

რექტორი  
პროფესორი გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მიღების წესები:

(2014–2015 სასწავლო წელი)

1. უნივერსიტეტში მიიღებიან სრული ზოგადი განათლების მქონე მოქალაქეები.
2. უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.
3. უნივერსიტეტში რეგისტრაცია დაიწყება 2014 წლის 24 მაისს და გაგრძელდება 9 ივნისამდე ყოველდღე (კვირის გარდა) 12–დან 18 სთ–მდე. მიმღები კომისიის მისამართი: . თბილისი, რუსთაველის 19; ( უნივერსიტეტის 1–ლი კორპუსი).  
ტელ: 299 70-16; 296–13–92; მობ.5 77 28 88 17 [www.tafu.edu.ge](http://www.tafu.edu.ge)

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (დიპლომი ან ატესტატი), მიმდინარე სასწავლო წელს კურსდამთავრებულებმა ცნობა;  
ბ) 4 ფოტოსურათი ( 3 X 4).

გ) პირადობის მოწმობა (ასლთან ერთად)

ვაჟებმა დამატებით სამხედრო ბილეთის ან\და მიწერის მოწმობის ასლი.

4. აბიტურიენტი დრამის, კინო–ტელე და ქართული ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტებზე ჩასარიცხად ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, უნივერსიტეტში გადის შემოქმედებით კონკურსს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის VIII თავის, 52-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად (სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი განათლების მისაღებად აბიტურიენტი ერთიან ეროვნულ გამოცდამდე გადის შესაბამის კონკურსს სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით).

5. შემოქმედებითი კონკურსი დაიწყება 7 ივნისს. მომსახურების საფასურია 50 (ორმოცდაათი) ლარი.

თანხის შეტანა ხდება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე

სს ” ვითიბი ბანკი ჯორჯია ”

ანგ. № GE92 VT66 0000 5577 0036 08 , ბ/კოდი UGEBGE 22 / 220101610

6. თეატრის, მხატვრული კინოს, ანიმაციური კინოს და ტელე რეჟისურის, კინო–ტელე ოპერატორის პროგრამებზე აბიტურიენტი საკონკურსო მასალებს წარმოადგენს რეგისტრაციისას მიმღებ კომისიაში.

7. შემოქმედებითი კონკურსის ჩატარების ცხრილს ადგენს მიმღები კომისია.

8. აბიტურიენტისათვის შესარჩევი ტურის გავლა სავალდებულოა.

9. შესაბამისი კომისია წყვეტს აბიტურიენტის კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვების საკითხს.

10. გამოუცხადებლობის და არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი არ დაიშვება კონკურსის შემდგომ ეტაპზე.

11. აბიტურიენტმა, რომელმაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში დაარეგისტრირა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტის რამდენიმე პროგრამა, სადაც სწავლის დაწყება სურს, შემოქმედებითი კონკურსი უნდა გაიაროს მის მიერ დასახელებულ ყველა საშემსრულებლო პროგრამაზე დადგენილი წესით. უნივერსიტეტში შეფასება ხდება 100 ბალიანი სისტემით, 30 ქულა ნიშნავს ჩაჭრას.

12. აბიტურიენტი ვალდებულია კონკურსზე გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

13. სარეჯისორო პროგრამაზე (დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტები) აბიტურიენტს ეძლევა 4 ასტრონომიული საათი წერთი გამოცდისათვის.

14. კონკურსის დროს აბიტურიენტს ეკრძალება მობილური ტელეფონის შეტანა, საკონკურსო ადგილის უნებართვოდ დატოვება.

15. აბიტურიენტი, რომელიც ვერ გადალახავს ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალურ ზღვარს, ვერ ჩაირიცხება უნივერსიტეტში მხოლოდ შემოქმედებით კონკურსზე მიღებული ქულების მიხედვით.

16. იმ ფაკულტეტზე, რომელზეც უნივერსიტეტში არ ტარდება შემოქმედებითი კონკურსი, ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, დამატებითი გამოცდის გარეშე.

17. უცხო ქვეყნის მოქალაქეები უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის № 19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

18. საქართველოს მოქალაქე ის აბიტურიენტები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური ან ოსური სკოლა, კონკურსს გადიან საერთო წესით, სახელმწიფო ენაზე (პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე სამსახიობო სპეციალობის რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური მიზნობრივი ჯგუფებისთვის დაწესებულია შემოქმედებითი კონკურსის გავლა მშობლიურ ენაზე).

19. თუ აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა ჩარიცხვისათვის საჭირო ქულა მის მიერ არჩეულ პირველ პროგრამაზე, მაშინ მისი საკითხი განიხილება ჩამონათვალში მითითებულ მეორე პროგრამაზე და ა.შ.

20. უნივერსიტეტში მისაღები შემოქმედებითი ტურებისა და კონკურსის მიმდინარეობა გადაღებული იქნება ვიდეოფორზე. ვიდეომასალა შეინახება უნივერსიტეტის არქივში და შეიძლება გამოყენებული იქნას სააპელაციო კომისიის მიერ. აღნიშნული ვიდეომასალა წარმოადგენს უნივერსიტეტის დაცულ ინფორმაციას და აბიტურიენტებზე არ გაივრება.

21. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სააპელაციო კომისია:

ა) აბიტურიენტი უფლებამოსილია შეიტანოს სააპელაციო განცხადება რექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისიის სახელზე შემოქმედებითი კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში.

ბ) სააპელაციო კომისია უფლებამოსილია აბიტურიენტის განცხადების განხილვისას მოახდინოს მიმღები კომისიის მიერ აბიტურიენტის შეფასების კორექტირება. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

გ) სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვასთან

დაკავშირებით ფორმდება წერილობით. სააპელაციო განაცხადის განხილვას ესწრება მხოლოდ აბიტურიენტი.

ე) აბიტურიენტის ინიციატივით შეფასებასთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადის განხილვის საფასურია 30 (ოცდაათი) ლარი.

თანხის შეტანა ხდება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე:

სს " ვითიბი ბანკი ჯორჯია "

ანგ. № GE92 VT66 0000 5577 0036 08 , ბ/კოდი UGEBGE 22 / 220101610

22. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად მიმღები კომისიის წევრი, ან დამკვირვებელი არ დაიშვება შემოქმედებით ტურებზე, თუ:

ა) ნებისმიერი სახით, პირდაპირ და უშუალოდ არის დაინტერესებული უნივერსიტეტში ჩასატარებელი კონკურსის შედეგებით.

ბ) პირი, რომლის ნათესავი აბიტურიენტი მონაწილეობს კონკურსში.

23. 22-ე მუხლის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა და მათი შვილები;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

24. დამკვირვებელს ეკრძალება კონკურსის პროცესში რაიმე ფორმით ჩარევა.

25. ჩარიცხული აბიტურიენტი ვალდებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ ვადაში (მუხლი 22, პუნქტი 3, 31) გამოცხადეს უნივერსიტეტში, გაიაროს რეგისტრაცია და გააფორმოს ხელშეკრულება, ხოლო ჰუმანიტარულ , სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებებზე ჩარიცხული აბიტურიენტი ამასთანავე წარმოადგენს:

ა) ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (დიპლომი ან ატესტატი);

ბ) 4 ფოტოსურათი - 3 X 4.

გ) პირადობის მოწმობა (ასლთან ერთად)

ვაჟები დამატებით სამხედრო ბილეთის ან\და მიწერის მოწმობის ასლს.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2014-2015 სასწავლო წლისათვის, აბიტურიენტთა მიღება იწარმოებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემდეგ ფაკულტეტებზე:

### 1. დრამის ფაკულტეტი

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა, სწავლების ვადა 4 წელი

- ა) მსახიობი ( დრამისა და კინოს მსახიობი)
- ბ) თეატრის რეჟისორი

სამსახიობო სპეციალობაზე ჩაბარების მსურველი აბიტურიენტების სასურველი ასაკია: ქალები 23 წლამდე, ვაჟები 25 წლამდე.

### 2. კინო-ტელე ფაკულტეტი

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა, სწავლების ვადა 4 წელი

- ა) მხატვრული კინოს რეჟისორი
- ბ) ტელე რეჟისორი
- გ) ანიმაციური კინოს რეჟისორი
- დ) ხმის რეჟისორი/კინო-ტელე ოპერატორი

3. ქართული ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტი  
საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა, სწავლების ვადა 4 წელი

- ა) ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის გუნდის დირიჟორი
- ბ) ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი

4. ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი:  
საბაკალავრო პროგრამა, სწავლების ვადა 4 წელი

ა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება

- ა) ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა

ბ. სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება

- ა) ტელე-რადიო ჟურნალისტი
  - გ. ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულება
- მენეჯმენტი (ხელოვნების მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი)

კონკურსის ჩატარების წესები და პირობები:

1. გამოცდები ჩატარდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი - შემოქმედებითი კონკურსი, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ჩატარდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეორე - შეფასებისა და გამოცდების ერთიან ეროვნულ ცენტრში.

2. შემოქმედებითი კონკურსი ჩატარდება შემდეგ პროგრამებზე:

1. დრამის ფაკულტეტი

ა) მსახიობი ( დრამისა და კინოს მსახიობი)

ბ) თეატრის რეჟისორი

2. კინო-ტელე ფაკულტეტი

ა) მხატვრული კინოს რეჟისორი

ბ) ტელე რეჟისორი

გ) ანიმაციური კინოს რეჟისორი

დ) კინო-ტელე ოპერატორი

3. ქართული ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტი

ა) ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის გუნდის დირიჟორი

ბ) ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი

ყველა პროგრამაზე ერთი სასწავლო წლის საფასურია 2.250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

დრამის ფაკულტეტი ( დეკანი - ასოცირებული პროფესორი მარინა ხარატიშვილი) აცხადებს მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

1. სამსახიობო:

დრამისა და კინოს მსახიობი : ა) საერთო ჯგუფი - 12 ადგილი;

ბ) მიზნობრივი გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრისათვის - 10 ადგილი;

გ) მიზნობრივი თბილისის ალ.გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრისათვის - 8 ადგილი

2. თეატრის რეჟისორი - 6 ადგილი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი.

დრამისა და კინოს მსახიობის პროგრამაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი ტარდება 3 (სამ) ეტაპად: I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური და გამოცდა

I ტური - პირველ შესარჩევ ტურზე მოწმდება აბიტურიენტის გარეგნული მონაცემები, მეტყველება, მუსიკალური სმენა, რიტმის შეგრძნება, პლასტიკა და აქვს თუ არა გამოუსწორებელი ორგანული დეფექტი, შეუთავსებელი პროფესიულ მოთხოვნებთან. შესარჩევი ტურისათვის აბიტურიენტი ვალდებულია მოამზადოს სიმღერა, საცეკვაო ნომერი, იგავ-არაკი, პოეტური და პროზაული ნაწარმოები (პირველი ტურისათვის პროზაული ნაწარმოების წაკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს).

II ტური - მეორე შესარჩევ ტურზე აბიტურიენტი კვლავ წარმოადგენს სიმღერას, საცეკვაო ნომერს, იგავ-არაკს, პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებს (მას აქვს უფლება გაიმეოროს, ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვალოს პირველ ტურზე ნაჩვენები პროგრამა). ამასთან, წარმოდგენილი პროგრამა მან უკვე უნდა შეასრულოს საგამოცდო კომისიის მიერ მიცემული გარკვეული ამოცანით. ამას გარდა, აბიტურიენტს შესასრულებლად ეძლევა ერთი ეტიუდი კონკრეტულ თემაზე.

გ ა მ ო ც დ ა - გამოცდაზე გასული აბიტურიენტისათვის მოთხოვნები კიდევ უფრო რთულდება. აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს სიმღერა, საცეკვაო ნომერი, იგავ-არაკი, პოეტური და პროზაული ნაწარმოები ( მას აქვს უფლება გაიმეოროს, ნაწილობრივ ან მთლიანად შეცვალოს შესარჩევ ტურებზე წარმოდგენილი პროგრამა). პროგრამა უნდა შესრულდეს საკონკურსო კომისიის მიერ მიცემული სხვადასხვა ამოცანით. ამას გარდა, აბიტურიენტს შესასრულებლად ეძლევა რამდენიმე ეტიუდი სხვადასხვა თემაზე, რომლითაც შემოწმდება მისი შემოქმედებითი წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი, ემოციურობა და არტისტული მონაცემები.

სამსახიობო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი აბიტურიენტების სასურველი ასაკია: გოგონები 23 წლამდე, ვაჟები 25 წლამდე.

თეატრის რეჟისორის პროგრამაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი :

აბიტურიენტმა შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევარი /სცენარი, მოთხრობა, ჩანახატი, ნარკვევი 2-3 გვერდის მოცულობით /.

1. გ ა მ ო ც დ ა - წერა /კომისიის მიერ შემოთავაზებული პიესის ანალიზი/ აბიტურიენტმა გამოცდისათვის გამოყოფილ 5 საათში უნდა დაწეროს პიესის ანალიზი. საჭიროა მას ჰქონდეს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნებისა და შეთხზვის უნარი. უნდა შეეძლოს მოვლენის გაანალიზება, ლოგიკური აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობა.

2. გასაუბრებელი - წერიტი კონკურსის შემდეგ აბიტურიენტს ჩაუტარდება გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

გამოცდის ორივე ნაწილში ნიშანი იწერება ცალ-ცალკე და შემდეგ ყალიბდება საბოლოო შეფასება.

კინო-ტელე ფაკულტეტი ( დეკანი - პროფესორი დავით ჯანელიძე) აცხადებს მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

- ა) მხატვრული კინოს რეჟისორი - 5 ადგილი
- ბ) ტელე რეჟისორი - 5 ადგილი
- გ) ანიმაციური კინოს რეჟისორი - 5 ადგილი
- დ) კინო-ტელე ოპერატორი - 7 ადგილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია აუდიო ვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი

კინო – ტელე საოპერატორო პროგრამაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:

აბიტურიენტმა შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს 20 (A-4 ფორმატი) ფოტოსურათი (სხვადასხვა ჟანრის რეპორტაჟი, პეიზაჟი, ნატურმორტი და პორტრეტი, გადაღებული ინტერიერსა და ექსტერიერში). აბიტურიენტი მხოლოდ წარმოდგენილი ნამუშევრების დადებითად შეფასების შემდეგ დაიშვება მისაღებ გამოცდაზე.

გამოცდა ჩატარდება ორ ტურად.

I ტური (პრაქტიკული დავალება)

ჩატარდება პავილიონში (ხელოვნური განათებით ნატურმორტისა და პორტრეტის გადაღება).

II ტური (პრაქტიკული დავალება) ჩატარდება ნატურაზე. (რეპორტაჟი)

იმავე დღეს შედგება გასაუბრება ,რომელზეც აბიტურიენტი გამოამჟღავნებს ზოგად განათლებასა და ინტელექტუალურ დონეს ხელოვნების სხვადასხვა სფეროებში. სავალდებულოა მან იცოდეს: (ფოტოაპარატის აგებულება, ფოტოკომპოზიციის კანონები, პერსპექტივა, (ტონალური, ხაზოვანი) ობიექტების ნაირსახეობა. განათების ტიპები და სახეები: გამოჩენილი ქართველი და უცხოელი კინოოპერატორები და მათი საუკეთესო ნამუშევრები)

მხატვრული კინოს , ანიმაციური კინოს და ტელერეჟისურის პროგრამებზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:

აბიტურიენტმა შემოქმედებითი ტურის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს მასალა, რაც მას წარმოაჩენს როგორც მოაზროვნე, შემოქმედებით ადამიანს. ეს შეიძლება იყოს, მოთხრობა, სცენარი, ნახატი, ჩანახატი, იდეები, ფოტოები, ფოტოკოლაჟი და სხვ. აბიტურიენტი მხოლოდ წარმოდგენილი ნამუშევრების დადებითად შეფასების შემდგომ დაიშვება მისაღებ გამოცდაზე.

გამოცდა ჩატარდება ორ ტურად

## I ტური

წერთი გამოცდა - შეთავაზებული თემებიდან აბიტურიენტი ირჩევს მისთვის საინტერესო თემას, ამბავს, რომელშიც ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგად დაგროვილი მასალის საფუძველზე გამოჩნდება მისი შემოქმედებითი წარმოსახვის და ფანტაზიის უნარი.

## II ტური

გასაუბრება - რომელზეც აბიტურიენტი წარმოაჩენს: მოტივაციას, ზოგად ინტელექტუალურ და განათლების დონეს ლიტერატურასა და ხელოვნებაში; ინტერესებს სფეროს; ანალიზისა და შემოქმედებითი ფანტაზიის უნარს.

აბიტურიენტს მიეცემა პრაქტიკული დავალებები დაკვირვების, შემოქმედებითი წარმოსახვისა და ასოციაციური აზროვნების უნარების გამოსამჟღავნებლად;

აბიტურიენტმა უნდა შეძლოს ეტიუდის მოფიქრება ან ისტორიის შექმნა შეთავაზებულ თემაზე (სიტუაციის წარმოდგენა-აღწერა);

ფერწერული ტილოს ან ფოტოს მიხედვით ამბის აგება;

მოვლენის განვითარების აღწერის/გადმოცემის უნარი ფერწერული ტილოს ან შეთავაზებული ამბის მიხედვით (სავარაუდო ხმოვანების წარმოსახვით).

ეპიზოდის ან სცენის გახსენება პირადი ცხოვრებიდან, ან მოვლენა, რომლის მოწმეც ყოფილა.

ქართული ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტი (დეკანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ზურაბ მანაგაძე) აცხადებს მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:

ა) ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის გუნდის დირიჟორი - 10 ადგილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი

ბ) ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - 18 ადგილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქორეოგრაფიული ხელოვნების ბაკალავრი

ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის პროგრამაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი ტარდება 3 (სამ) ეტაპად: I შესარჩევი ტური, II შესარჩევი ტური და გამოცდა

I ტური - ფიზიკური მონაცემები, სმენა, რიტმი, პლასტიკა, აქვს თუ არა აბიტურიენტს პროფესიულ მოთხოვნებთან შეუთავსებელი გამოუსწორებელი ორგანული დეფექტი

II ტური - ქართული ცეკვის ინდივიდუალური შესრულება, მუსიკალური ეტიუდი (იმპროვიზაცია)

გამოცდა - რომელიმე ქართული ცეკვის დადგმა (აბიტურიენტების მონაწილეობით), აბიტურიენტის მიერ დადგმული ცეკვის ანალიზი. გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის გუნდის დირიჟორის პროგრამაზე აბიტურიენტის შესარჩევი კონკურსი:

სპეციალობაში შემოქმედებითი კონკურსისათვის (გამოცდისათვის) აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ა) ქართული ხალხური სიმღერა
- ბ) საეკლესიო გალობა
- გ) სოლფეჯიო / ზეპირი-კარნახი /
- დ) დირიჟორობა
- ე) გასაუბრება სამუსიკო ხელოვნების საკითხებზე.

ა) ქართული ხალხური სიმღერა:

1. “კახური ლაშქრული”
2. “ქართველო, ხელი ხმალს იკარ”
3. “გაფრინდი, შავო მერცხალო”
4. “ცელო, მოუსვი ბალახსა”
5. “წაიყვანეს თამარ ქალი”
6. “საფერხულო” /ვახტანგ მეფე/
7. “წინწყარო”
8. “ნეტავი, გოგო”
9. “შინა ორგილ”
10. “ყანსავ ყიფიანე”
11. “ბროლის ყელსა”
12. “იმერული მგზავრული”
13. “აკა სი რექ იშო”
14. “ჩელა”
15. “ბატონები”
16. “მივალ გურიაში”

ბ) საეკლესიო გალობა:

1. “ჯვარსა შენსა” ( ქართლ-კახური კილო);
2. “ღმერთი უფალი” (ქართლ-კახური კილო);
3. “წმიდაო ღმერთო” (ქართლ-კახური კილო);
4. “ღმერთი უფალი” (იმერულ-გურული კილო);
5. “წმიდაო ღმერთო” (იმერულ-გურული კილო);
6. „მეუფეო ზეცათაო” (იმერულ-გურული კილო).

გ) სოლფეჯიო (ზეპირი-კარნახი)

1. მოცემული ზგერიდან სხვადასხვა კილოს სიმღერა;
2. ქრომატიული ინტერვალების აგება-გადაწყვეტა მოცემულ ტონალობაში;
3. ტონალობაში და ზგერიდან აკორდების აგება და გადაწყვეტა;
4. ტონალობაში აკორდული თანმიმდევრობის სიმღერა;
5. სოლფეჯირება;
6. სმენითი ანალიზი.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 - 2015 სასწავლო წლის მისაღები კონკურსის საგნობრივი კომისიის წევრთათვის განკუთვნილი ინსტრუქცია აბიტურიენტთა შეფასების წესის შესახებ:

1. უნივერსიტეტის დრამის, კინო-ტელე და ქართული ხალხური სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფაკულტეტებზე მისაღები კონკურსზე აბიტურიენტთა ცოდნისა თუ მონაცემების შეფასება ხდება 100 /ასი/ ქულიანი სისტემით. 30 /ოცდაათი/ ქულა - 2 /ორიანი/, არადამაკმაყოფილებელის ტოლფასია.
- 2 გამსვლელ ქულად ითვლება 30 ქულის ზევით შეფასება, 100 ქულაა მაქსიმუმი.
3. უნივერსიტეტის იმ სპეციალობებზე, სადაც კონკურსი ორ ეტაპად ტარდება, საგნობრივი კომისიის წევრები საშუალო არითმეტიკულის პრინციპით ახდენენ საბოლოო ერთი ნიშნით აბიტურიენტის ცოდნისა თუ მონაცემების შეფასებას.
4. კონკურსის ორივე ეტაპზე, აბიტურიენტი ცალ-ცალკე ფასდება 100 (ასი) ქულიანი სისტემით ორ დამოუკიდებელ უწყისში, ხოლო პირად საკონკურსო ბარათში ფორმდება ერთი საერთო ნიშანი.
5. პრაქტიკულისა და გასაუბრების, ან წერისა და გასაუბრების ორი დამოუკიდებელი ნიშანი იკრიბება და იყოფა ორზე, რის შედეგადაც იწერება ერთი საერთო, საბოლოო ნიშანი.
6. ზუსტი ქულის მიღებისათვის, საბოლოო ქულა მეტობით, აბიტურიენტის სასარგებლოდ გამოიყვანება.  
მაგალითად: თუ კონკურსის ერთ ეტაპზე აბიტურიენტმა 75 ქულიანი შეფასება მიიღო, ხოლო მეორე ეტაპზე 60, მისი საბოლოო ქულა, რომელიც პირად საკონკურსო ბარათში უნდა დაფიქსირდეს, შემდეგნაირად გამოიყვანება:  $75 + 60 = 135 : 2 = 67,5$ . მიღებული ქულა ზუსტად არ იყოფა, ამიტომ საბოლოო ქულა აბიტურიენტის სასარგებლოდ მეტობით მიიღება  $135 : 2 = 67,5$ ;  
მაგრამ საერთო, საბოლოო ქულა აბიტურიენტის სასარგებლოდ მეტობით დამრგვალდება და მივიღებთ 68 ქულას. სწორედ ეს იქნება აბიტურიენტის შეფასება, რომელიც მის პირად ბარათში გადავა.  
ორ ეტაპად ჩატარებული კონკურსის ორივე უწყისი შეინახება მიმღებ კომისიაში.

მიმღები კომისია.